პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 232 (5262)

1974 წ. 23 ნოემბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედია



მოსწავლეთა არდადეგების დღეებში

## ფავორიტები არ ჩამოვიდნენ

მაგიდის ჩოგბურთი ერთადერთი სახეობაა, რომელსაც არც დიდი სპორტდარბაზი სჭირდება და არც ძვირად ღირებული ინვენტარი. მაგრამ მაინც, ამ სახეობის განვითარებისთვის ბევრგან რატომღაც სათანადოდ არ ზრუნავენ — მოსწავლეებს ამ სახეობაში დაოსტატებისთვის პირობებს არ უქმნიან, რაც არდადეგების დღეებში სოხუმში ჩატარებულმა ტურნირმაც დაადასტურა. აქ საასპარეზოდ შეგროვდნენ მხოლოდ თბილისის, რუსთავის, ხაშურისა და მასპინძელთა კოლექტივები.

განსაკუთრებით გაგვაოცა იმან, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის არ ჩამოვიდნენ ბათუმის სპორტსმენები, თუმცა ამ ქალაქს მაგიდის ჩოგბურთში მდიდარი ტრადიციები აქვს. რამ შეუშალა ხელი აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს, რატომ არ გამოგზავნა გუნდი სოხუმში, ვინ არის ამაში დამნაშავე?

აჭარის წარმომადგენელთა არყოფნამ შეჯიბრებისადმი ინტერესი საგრძნობლად შეანელა და სხვებს საპრიზო ადგილების იოლად მოპოვების საშუალება მისცა. ტურნირი თავდაპირველად ორ-ორ ქვეჯგუფად ჩატარდა. შემდეგ უძლიერესებმა ფინალური შეჯიბრება გამართეს. გოგონათა შორის I ადგილი დაიკავა ე. მაზურენკომ. II ადგილზე გავიდა ნ. ალბოროვა (ორივე — თბილისი), III — ხაშურელი ნ. აკოფოვა.

თბილისელებმა ჭაბუკთა შეჯიბრებაშიც ორი საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს: ვ. იუმაკოვმა — I, მ. ბიბილაძემ — III. მეორე იყო მასპინძელთა კოლექტივის წარმომადგენელი მ. ხურცია.

ნ. ტანტიბა.
(ჩვენი სპეც. კორ.).
სოხუმი.

ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

## შემადგენლობა გააძლიერეს და... წააგეს

გუშინწინ, თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, შედგა საქართველოს და ბელორუსიის მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩის II ტური. ჩვენი რესპუბლიკის გუნდი ძირითადი შემადგენლობით თამაშობდა. ბრძოლაში ჩაებნენ დიდოსტატი ბ. გურგენიძე, საქართველოს ჩემპიონი ოსტატი ე. უბილავა, მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი და საერთაშორისო ოსტატი ნ. ალექსანდრია.

ეს შეხვედრა საქართველოს გუნდმა წააგო — 4:5. მარცხი იწვნია გურგენიძემ, რომელმაც ოსტატ ა. კაპენგუტთან შეხვედრაში სიძნელეებს თავი ვერ დააღწია. დამარცხდნენ, აგრეთვე, ახალგაზრდა მოჭადრაკეები ზ. მიქაძე და გ. ზაიჩიკი მათსავით ოსტატობის კანდიდატებთან ნ. ცარენკოვთან და ლ. ბასინთან. ვაჟთა სხვა დაფებზე ე. მოჩალოვ — თ. გიორგაძის, მ. შერეშევსკი — ე. უბილავას, ს. ბეგუნ — ა. იშვოზჩიკოვისა და ა. როიზმან — ა. ბოკუჩავას შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

ძლიერად ითამაშეს ჩვენმა ქალებმა: გაფრინდაშვილმა მოუგო საერთაშორისო ოსტატ კ. ზვორიკინას, ხოლო ალექსანდრიამ — ბელორუსიის ჩემპიონს, ოსტატობის კანდიდატ ტ. კოსტინას.

2 ტურის შემდეგ მატჩის ანგარიშია 10,5:7,5 საქართველოს მოჭადრაკეთა სასარგებლოდ.

თ. ნინოშვილი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მატჩის მომენტი.
მ. ზარგარიანის ფოტო.

წერილი რედაქციას

## ეს ყოვლად დაუშვებელია

მიმძიმს ამ ბარათის დაწერა, ვინაიდან იგი შეეხება ჩემთვის ახლობელ ადამიანებს, რომლებიც ჩვენი საზოგადოებისთვის შეუფერებლად იქცევიან. მაგრამ მე მწამს, რომ ამხანაგობასა და მეგობრობაზე ძლიერი უნდა იყოს საზოგადოების წინაშე ყოველი ადამიანის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა და ამიტომ მოგმართავთ.

ჩემს წინ არის გაზეთ „ლელოს" ორი ნომერი, ორი სხვადასხვა წერილი. ერთია 25 მაისს დაბეჭდილი ამ სტრიქონების ავტორის „უმნიშვნელოვანესი სოციალური ამოცანა", სადაც ნათქვამია, რომ თბილისის განათლების განყოფილების აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის ბავშვთა სპორტსკოლის მოსწავლეები ბორისოვში „შრომითი რეზერვების" საბჭოთი გამოიყვანეს, რითაც ზიანი მიაყენეს სპორტსაც და ბავშვებსაც. მეორეა 6 ნოემბერს დაბეჭდილი ნ. კობიძის კორესპონდენცია „ჩემპიონებიც, პრიზიორებიც..." ეს უკანასკნელი გვატყობინებს, ამავე სპორტსკოლის მოსწავლე ბავშვები ზ. ნიკოლაიშვილი, ი. კალანდარიშვილი, ვ. იაკოვლევა, ზ. ყაჩმაზოვი, ვ. გურგენიძე, გ. ჯაველიძე, გ. კაკაშვილი, ა. მარვანგელოვი ვოლგოგრადში „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს იუნიორ აკრობატთა პირად-გუნდური შეჯიბრების ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენო.

ეს შედეგები უნდა გვახარებდეს, მაგრამ რის ფასად არის ისინი მოპოვებული, როგორ უნდა ვენდოთ მომავალი თაობის აღზრდის სახელმწიფოებრივი საქმე ხელმძღვანელებს, რომლებიც თვითონაც ტყუიან და ბავშვებსაც სიცრუისკენ უბიძგებენ? ვინ იძლევა ასეთი გუნდების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაყვანის უფლებას?

დანაშაულისთვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები მკაცრად ისჯებიან. რატომ უნდა ვაპატიოთ ზემოაღნიშნული მოქმედება იმ ხალხს, რომელიც პასუხისმგებელია მოზარდი თაობის ფიზიკური და სულიერი აღზრდისთვის და დანაშაულს ჩადის მის მიმართ? ამ შემთხვევაში ხომ სახელმწიფო ფულიც არადანიშნულებისამებრ იხარჯება და ახალგაზრდობის აღზრდასაც ზიანი ადგება?

შესაბამის ორგანოებს, პირველ ყოვლისა კი თბილისის განათლების განყოფილებას, სათანადო ყურადღება რომ მიექციათ „უმნიშვნელოვანეს სოციალურ ამოცანაში" მოყვანილი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტებისთვის და საჭირო ზომებიც მიეღოთ, ასე აღარ მოხდებოდა.

საოცარია ასეთი უგულისყურობა და უპასუხისმგებლობა.

ვ. შილაია,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

ფიზკულტურის კოლექტივებში

## ზეიმს წარმატებით შეხვდნენ

კამვოლური დართვის ფაბრიკის კოლექტივი თბილისის მოწინავე ფიზკულტურულ ორგანიზაციებს შორის აქამდე არავის დაუსახელებია. ექვსასკაციან საწარმოში მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობა დაბალ დონეზე არ იდგა, მაგრამ დიმიტროვის სახელობის საავიაციო და კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნების, ქალაქის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს, სპორტკლუბ „უშბის", ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკისა და სხვა დიდ ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან ჭიდილში პირველობის მოპოვება ძალიან ძნელი იყო.

წლეულს საწარმო საგრძნობლად გაფართოვდა. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვმა იმატა, ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის დონე კიდევ უფრო ამაღლდა. ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტმა რ. ბარაბაძემ, რომელსაც მხარში უდგანან ფაბრიკის დირექტორი ნ. ხურცია, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ლ. აროშიძე, კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების მდივნები ვ. მადარეიშვილი და ე. კაკაბაძე, აქტივი დარაზმა და მუშაობაც უფრო ნაყოფიერი გახდა.

ფაბრიკაში ყველამ კარგად იცის, რომ ფიზკულტურა და სპორტი ხუთწლედის დავალებათა შესრულებისთვის ბრძოლაში კოლექტივის საიმედო თანაშემწეა. ტურიზმი, საწარმოო ტანვარჯიში, გამაჯანსაღებელი ჯგუფების ნაყოფიერი საქმიანობა მშრომელთა გაკაჟების საუკეთესო საშუალებაა. ჯანსაღ ადამიანს კი შრომის მეტი ხალისი აქვს.

ხარატი პ. ნერსესიანი ამბობს: გეგმებს გადაჭარბებით რომ ვასრულებ, ამას ტურიზმს უნდა ვუმადლოდე.

მაგრამ ამ სახეობით მარტო ნერსესიანი როდია გატაცებული. მან სხვაც ბევრი აიყოლია და ისე დაოსტატდნენ, რომ ამასწინანდელ საქალაქო შეჯიბრებაში წარმატებაც მოიპოვეს.

კამვოლური დართვის ფაბრიკის ფიზკულტურულ კოლექტივში 7 სახეობის სპორტული სექციებია შექმნილი. ამ სექციებში 200-მდე მუშა და მოსამსახურე მეცადინეობს. ესენი შეადგენენ ქარხნის სპორტულ ბირთვს, რომელიც წარმატებით მონაწილეობს საქალაქო თუ პროფკავშირის დარგობრივი კომიტეტის შეჯიბრებებში, მაგრამ სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის გარეშე არც სხვები არიან დარჩენილი — შიდასაფაბრიკო ტურნირებში საწარმოს თითქმის ყოველი მეორე თანამშრომელი მონაწილეობს.

შრომაში მოწინავენი — დამხმარე მუშა, ფრენბურთელი ბ. დათუნაშვილი, მრთველი, მძლეოსანი ე. ქარელი, საბერტყი საამქროს ქვეოსტატი, მოჭიდავე გ. სისოშვილი, ხარატი, ფრენბურთელი ვ. ვდოვინი და სხვები ფიზკულტურისა და სპორტის საუკეთესო პროპაგანდისტებიც არიან.

ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო, რომელსაც ე. კაკაბაძე ხელმძღვანელობს, ნამდვილი ორგანიზატორია. ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია ფიზკულტურელებს ზრუნვას არც მანამდე აკლებდა, მაგრამ დახმარება კიდევ უფრო გააძლიერა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის შესახებ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ანგარიში მოისმინა და ნაკლოვანებების გამოსწორებისთვის სათანადო ღონისძიება დასახა.

დირექციის, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების შეთანხმებულ მუშაობას ისიც მოწმობს, რომ ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 57-ე წლისთავს სასახელო მაჩვენებლებით შეხვდა — ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულა. იგი თბილისში მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" ფიზკულტურული ორგანიზაციის შემდეგ მეორე კოლექტივია, რომელმაც ესოდენ დიდ წარმატებას მიაღწია.

— მოპოვებულით არ დავკმაყოფილდებით. დღეიდან შემდეგი ხუთწლედის ანგარიშში ვიმუშავებთ, რათა ჩვენც მრავლად გვყავდეს სპორტის ოსტატები, საქართველოს ნაკრებს ღირსეული შევსება მივცეთ. წლეულს საბერტყი საამქროს სათადარიგო ქვეოსტატმა ფრიდონ ჟამიერაშვილმა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონის სახელი და სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა. იგი პირველი სპორტის ოსტატია ჩვენს საწარმოში, — გვითხრა რ. ბარაბაძემ და განაგრძო:

— ახლა ჩვენი ვალია „განთიადის" ფიზკულტურული კოლექტივების შეჯიბრებაში II ჯგუფში, სადაც III ადგილი გვიკავია, პირველობისთვის ვიბრძოლოთ. ამ მიზანს მივაღწევთ.

გვჯერა, ოქტომბრის ზეიმის დღეებში დადებული პირობის შესრულებისთვის ფაბრიკის კოლექტივი თავს არ დაზოგავს.

ც. ძიმისტარიშვილი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: საწარმოო ტანვარჯიში ფაბრიკაში.
ა. კოტორაშვილის ფოტო.



# სტუდენტთა სპორტს მიეძღვნა

თბილისში გაიმართა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელების, ფიზიკური აღზრდის მუშაკებისა და მწვრთნელ-მასწავლებლების რესპუბლიკური თათბირი. იგი მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1974 წლის 3 ივნისის დადგენილებიდან (ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში საქართველოს სპორტკომიტეტის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ) გამომდინარე, რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდისა და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ვ. მიქენაძემ.

მოხსენებით გამოვიდა მინისტრის მოადგილე ბ. მამაცარია.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ჰ. ბარამიძემ, თბილისის უნივერსიტეტის პრორექტორმა აღმზრდელობით დარგში, პროფესორმა ო. ნიორაძემ, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ლ. ძაკონსკიმ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ბაქრაძემ, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ, დოცენტმა ბ. ყორღალაშვილმა, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გაერთიანებული პროფკომის თავმჯდომარემ ა. კახნიაშვილმა, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა მ. ძმინიკაძემ, თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელმა ნ. ბაქრაძემ, „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ასათიანმა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტმა, სპორტის ოსტატმა ა. ხაზეიშვილმა, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიის კათედრის გამგემ ო. ზახანიამ, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორმა, დოცენტმა ა. მელიამ და დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელმა ი. ლეკვეიშვილმა.

თათბირი შეაჯამა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ შ. მახარაძემ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ამხილეს რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. ითქვა, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად იკლო ახალგაზრდობის ლტოლვამ ფიზკულტურისა და სპორტისკენ. უმაღლესმა სასწავლებლებმა, განსაკუთრებით უნივერსიტეტმა და საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, სპორტის ცალკეულ სახეობებში სახელოვანი ტრადიციები დაკარგეს. პოლიტექნიკური ინსტიტუტი კალათბურთსა და ფრენბურთში ათეული წლების მანძილზე ორ-ორი გუნდით მონაწილეობდა საკავშირო პირველობის უმაღლეს ლიგაში, დღეს კი მათ სარბიელზე ველარ ვხედავთ. წლეულს ბაქოში გამართულ სტუდენტ ტანმოვარჯიშეთა საკავშირო შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა ვერ შეძლეს სრულად დაკომპლექტებული გუნდის გაგზავნა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა მხოლოდ ორი ვაჟი უნივერსიტეტიდან და ოთხი ქალი პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან. მოუმზადებლობის გამო ქალებმა ბოლოსწინა ადგილი დაიკავეს, ვაჟებმა კი ჩათვლაც ვერ მიიღეს.

შარშან შემოწმებით გამოირკვა, რომ თბილისის პუშკინის სახელობის, უცხო ენათა, სამხრეთ ოსეთის, გორის პედაგოგიურ და სხვა ინსტიტუტებში მოიკოჭლებს სტუდენტი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმე, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა.

სტუდენტთა შორის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცევა სამედიცინო და თეატრალურ ინსტიტუტებში, კონსერვატორიაში. შარშან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მშდ კომპლექსის ნორმატივები სტუდენტთა მხოლოდ 4 პროცენტმა ჩააბარა, უნივერსიტეტში — 5,4 პროცენტმა. არასახარბიელო მდგომარეობა იყო სამხატვრო აკადემიაში, სოხუმის პედაგოგიურ და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტებში.

მშდ კომპლექსის არც ერთი ნიშნოსანი არ მოუმზადებიათ ქარელის, საგარეჯოს და ჩხოროწყუს ტექნიკუმებს.

ბოლო წლებში ფართოდ გაიდგა ფესვები მწვრთნელ-მასწავლებელთა შეთავსებით მუშაობის მანკიერმა პრაქტიკამ. თათბირზე მოიყვანეს მაგალითები, როცა მწვრთნელ-მასწავლებლები შეთავსებით მუშაობენ მთელი განაკვეთით ორ და სამ ორგანიზაციაში. ეს იწვევს დუბლირებისა და სიყალბის ფაქტებს, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან უშლის ხელს დიდი სპორტის განვითარებას, სპორტში ახალი ტალანტების მიზიდვას, გამოვლენას და მათს დაოსტატებას.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ილაპარაკეს სპორტული ბაზების მშენებლობის საკითხზე. სასწავლო-სპორტული ბაზების მხრივ განსაკუთრებით უჭირთ თბილისის პუშკინის სახელობის, უცხო ენათა, ქუთაისის, სოხუმის, სამხრეთ ოსეთისა და სხვა ინსტიტუტებს. სამინისტროს 22 ტექნიკუმიდან შვიდს არავითარი სპორტული ბაზა არ გააჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს მხოლოდ ერთი დარბაზი აქვს, ამ სასწავლებლის სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობას არავითარი ყურადღება არ ექცევა. დახურული საცურაო აუზის მშენებლობა დანაშაულებრივად ჭიანურდება (ამ აუზს აშენებს მშენებლობის სამინისტროს მე-10 ტრესტი). ყოველივე ამის გამო სტუდენტი ახალგაზრდობა სამართლიან საყვედურს გამოთქვამს.

თათბირზე დიდი ყურადღება დაეთმო, აგრეთვე, ბავშვთა სპორტს, რადგან უმაღლესი სასწავლებლები სპორტულ ცვლას ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტული სკოლებიდან ღებულობენ.

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს მდიდარი ტრადიციები აქვთ. ეს ტრადიციები არ უნდა დავკარგოთ. საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში საქართველოს სტუდენტმა სპორტსმენებმაც, როგორც მუდამ, თავიანთი სიტყვა უნდა თქვან. ამასთანავე, ისინი გულმოდგინედ უნდა ემზადონ 1976 წლის მონრეალის XXI ოლიმპიური თამაშებისთვის. როგორც ცნობილია, მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ჩვენი რესპუბლიკის 18 სპორტსმენი ჩაირიცხა და მათგან 15 სტუდენტი იყო. აქედან ხუთმა ოქროს მედლები მოიპოვა, ერთმა — ვერცხლისა, ოთხმა — ბრინჯაოსი.

თათბირის მონაწილეებმა რწმენა გამოთქვეს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ძალასა და მონდომებას არ დაიშურებს სპორტული მწვერვალების დასაპყრობად. „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურ საბჭოს დაევალა გააუმჯობესოს მუშაობა, იბრძოლოს სტუდენტური სპორტის შემდგომი ამაღლებისთვის, მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ახალი სპორტული ტალანტების გამოვლენისა და დაოსტატებისთვის.

თათბირმა სათანადო დადგენილება მიიღო.

# მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედია

ვეხმაურებით მ. მჭედლიშვილის წერილს „იქნებ ასე სჯობდეს“

## ან იქნებ ასე სჯობდეს?

საკუთარი გამოცდილება მარწმუნებს: თუ მოსწავლეს პირველი კლასიდანვე არ ჩააცვი სპორტული ფორმა, არ შეაჩვიე ფიზკულტურის გაკვეთილს, მერე მას ამ საგანს ველარ შეაყვარებ. ამის საშიშროება კი არის, ვინაიდან ზოგ საშუალო სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილებს დაწყებით კლასებში არასპეციალისტები ასწავლიან.

ფიზკულტურის ორი გაკვეთილი კვირაში აშკარად ცოტაა. ეს გარემოება ფიზაღზრდის მასწავლებლისგან მოითხოვს დიდ მეცადინეობას: სწავლებაში აქტიური მეთოდების გამოყენებას, მეცნიერული და მეთოდური ლიტერატურის ცოდნას, გაკვეთილის სტრუქტურულად, მეთოდურად და ორგანიზაციულად სწორად წარმართვას...

პროტექციონიზმისა თუ უყურადღებობის მიზეზით სერიოზული შეცდომებია დაშვებული კადრების შერჩევა-განაწილებაში. ზოგი სკოლა არასპეციალისტებით არის დაკომპლექტებული მაშინ, როცა უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მქონე მასწავლებლები სხვა ორგანიზაციებში მუშაობენ. შეუწყნარებელია ისიც, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ იმაღლებს კვალიფიკაციას, არ იყენებს მოწინავე კოლეგების გამოცდილებას, გაურბის კვალიფიციურ კონსულტაციებს და ოდესღაც მიღებული ცოდნით კმაყოფილდება.

სკოლაში ფიზკულტურის კარგად სწავლების ერთ-ერთ ხელშემშლელ მიზეზად მ. მჭედლიშვილი ფიზაღზრდის მასწავლებლის კლასგარეშე მუშაობით გადატვირთვას მიიჩნევს. იგი აღნიშნავს, რომ დღემდე არ ხორციელდება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს და საკავშირო სპორტკომიტეტის კოლეგიის დადგენილება. სამართლიანი საყვედურია, მაგრამ მას მთლიანად მაინც ვერ გავიზიარებ.

როგორც ცნობილია, ფიზკულტურის სწავლების ძირითადი ფორმა აკადემიური გაკვეთილია. ეს გაკვეთილი მასწავლებელს აბარია. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს, მშდ კომპლექსის მიმღები კომისიისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანოების ვალია. მათ ხელში უნდა აიღონ სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე, სამხედრო საქმის მასწავლებელი, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები და ფიზკულტურის აქტივისტები. ამ საქმეს, როგორც სპეციფიკურს, საერთო ხელმძღვანელობა ფიზაღზრდის მასწავლებელმა უნდა გაუწიოს. ესე იგი მ. მჭედლიშვილს ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობით გადატვირთული მასწავლებელი მოწყვეტილია თავის ძირითად საქმეს. მასწავლებლისთვის არავის ნიუცია იმის უფლება, რომ სხვა საქმის გამო გაკვეთილები არ ჩაატაროს. ანდა ვინ უშლის ხელს იმაში, რომ გონივრულად გამოიყენოს განათლების სამინისტროს და სპორტკომიტეტის კოლეგიის დადგენილება?

საკითხავია, მაშ რატომ ჰყავთ შეყვანილი მშდ კომპლექსის მიმღებ კომისიებსა და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს შემადგენლობაში სკოლის სხვა თანამშრომლები? როგორც ჩანს, ეს კომისიები და საბჭოები მხოლოდ ფორმალურად, ქაღალდზე არსებობენ. ამიტომაც ყველას მაგივრად ფიზაღზრდის მასწავლებელს უხდება მუშაობა.

წერილში ნათქვამია, რომ სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასობრივ-სპორტულ ღონისძიებათა ჩატარებას. აღნიშნულია ისიც, რომ თანრიგოსნების, სპორტსმენების მომზადება მხოლოდ სპორტსკოლების საქმეა. ვფიქრობთ, ეს აზრები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ვინ გააფორმოს სკოლის შეჯიბრებაში ნაჩვენები საკლასიფიკაციო თანრიგები? რატომ არ შეიძლება ფიზკულტურის კოლექტივმა მოამზადოს მაღალი თანრიგებიანი სპორტსმენები? რომელ სპორტსკოლაში სწავლობდნენ, მაგალითად, წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზკულტურის კოლექტივში აღზრდილი საქვეყნოდ ცნობილი ფალავნები ა. ქიბროწაშვილი, ნ. ყაჩმაზაშვილი და ბ. ბაღაკაშვილი?

სკოლაში ფიზკულტურის სწავლების დაბალი დონის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა ძველებურად მუშაობს. დაკისრებულ მოვალეობას უპასუხისმგებლოდ, ზერელედ, ფორმალურად ეკიდება. სწორედ ასეთი მასწავლებლები ანიჭებენ ზედმეტ მნიშვნელობას თასებსა და დიპლომებს.

ხელმძღვანელობა ნაკლებ კონტროლსა და დახმარებას უწევს სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს. ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებას სახავენ, სამკერდე ნიშნებითა და საკლასიფიკაციო წიგნაკებით კი ვერ აწარავებენ. რა თქმა უნდა, ეს მასწავლებლის მუშაობის ხალისს უკარგავს, აჩვევს ფორმალიზმას, მოსწავლეებს კი სისტემატურ მეცადინეობაზე გულს უცრუებს.

სპორტული სკოლები განათლების საკავშირო სამინისტროს და პროფსაბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად მუშაობენ. დებულებაში ზუსტად არის რეგლამენტირებული სპორტული სახეობების, ჯგუფებისა და ამ ჯგუფების წევრთა რიცხვი, კვირაში საჭიროებელი მეცადინეობათა რაოდენობა. განსაზღვრულია, თუ მოსწავლემ რომელი თანრიგით უნდა დაამთავროს სპორტსკოლა. მწვრთნელ-მასწავლებლები ბავშვებს სპორტული სახეობებისთვის სპეციალური პროგრამებით ამეცადინებენ. ჩემი აზრით, ამაში უსისტემო და კუსტარული არაფერია, როგორც წერილის ავტორს მიაჩნია. სხვა საკითხია სპორტსკოლების ხელმძღვანელობისა და მწვრთნელთა მუშაობის ხარისხი.

სპორტსკოლებში მაღალი თანრიგების სპორტსმენთა აღსაზრდელად საჭიროა, რომ დებულების არც ერთი პუნქტი არ დაირღვეს. განსაკუთრებული ყურადღება მომეცადინეთა კონტინგენტს უნდა მიექცეს. საკონტროლო ნორმატივების ჩაბარებამდე მიმღებმა კომისიამ უნდა გაითვალისწინოს, რომელ სახეობაში სურთ ბავშვებს მეცადინეობა, რამდენად შეეფერება მათ ეს სახეობა, როგორი ფიზიკური ბუნებრივი მონაცემები აქვთ.

ჩემი აზრით, აჯობებს, თუ გავზრდით რაიონული კომპლექსური სპორტსკოლების მნიშვნელობას, მყარ საფუძველზე დავაყენებთ მათ, მეტ სახსარსა და საშუალებას მივცემთ მუშაობის გასაშლელად. საქალაქო შეჯიბრებები აუცილებლად ამ სკოლების აღზრდილთა შორის უნდა ჩატარდეს.

სათანადოდ არც თბილისის სპორტსკოლებია დაკომპლექტებული. რამდენიმე წლის წინათ კომპლექსურ სპორტსკოლას სპორტთამაშობათა სკოლა გამოეყო, მაგრამ პირველში მაინც დარჩა ჩოგბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის ჯგუფები. რა მოსაზრებით დატოვეს?

იმისთვის, რომ სპორტთამაშობათა სკოლა სრულყოფილი იყოს, მასში უნდა გაერთიანდეს ყველა შესაბამისი სახეობა, ფეხბურთის გარდა. მან მხოლოდ სამი ასაკის ნაკრებ გუნდებთან უნდა იმუშაოს. საჭიროა, აგრეთვე, აფროსნობის, აკადემიური და საზღვაო ნიჩბოსნობის კომპლექსური სპორტსკოლის შექმნა.

დღევანდელ კომპლექსურ სკოლაში უნდა ისწავლებოდეს სპორტის ის სახეობები, რომლებიც რაიონულმა და საქალაქო სპორტსკოლებმა ვერ აითვისეს. უნდა არსებობდეს ერთი უმაღლესი ოსტატობის სპორტული სკოლა, რომელიც ყველა სახეობას გააერთიანებს და მ. ოლოდ პერსპექტიული, ნიჭიერი სპორტსმენებისთვის იმუშავებს.

ი. კალანდაძე,
თბილისის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის მეთოდისტი.

მოსწავლეთა არდადეგების დღეებში

## სად იყვნენ ქუთაისელი და გორელი აკრობატები?

თბილისში აკრობატთა შეჯიბრებას შვიდი გუნდისთვის უნდა მოეყარა თავი, მაგრამ ქუთაისელებმა და გორელებმა ასპარეზობას თავი აარიდეს. პირდაპირ საოცარია, სად უნდა შეამოწმონ წლის მანძილზე გაწეული მუშაობა მწვრთნელებმა, თუ არა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში?

აშკარა იყო რუსთაველთა უპირატესობა. მათი გუნდი უფრო სრულად, თანაბარი სიძლიერის აკრობატებით იყო დაკომპლექტებული. ყველა სპორტსმენი ყოველი ქულისთვის თავგამოდებით იბრძოდა და საერთო გუნდურ ჩათვლაში 609,925 ქულით ამ კოლექტივმა პირველობაც დაისაკუთრა. თბილისელი აკრობატები II ადგილს დასჯერდნენ — 558,385 ქულა. III ადგილზე გავიდნენ აფხაზეთის წარმომადგენლები — 401,090.

პირად პირველობაში ხტომაში გოგონათა შორის გაიმარჯვა სპორტის ოსტატთა პროგრამით მოასპარეზე მ. ტყებუჩავამ (აფხაზეთი) — 45,7 ქულა. მან თბილისელ ს. მკრტჩიანს 0,4 ქულით აჯობა. ორივე გოგონამ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. III ადგილზე გავიდა ტ. მჭედლიძე (სამხრეთ ოსეთი) — 42,2.

ამავე ვარჯიშში 9 ჭაბუკი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. აქაც აფხაზეთის გუნდის წევრები პირველობდნენ. გ. ხარეცაანს 44,4 ქულა დაუგროვდა, ნ. ვინოგრადოვს — 40,7, აჭარის გუნდის წევრმა რ. ბეჟანიძემ მხოლოდ 30,7 ქულა მიიღო, მაგრამ III ადგილისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

შერეულ წყვილთა შეჯიბრება პირველი თანრიგის პროგრამით ტარდებოდა. აქ თავი გამოიჩინეს რუსთაველმა მოზარდებმა ტ. სპოდინეიკომ და ა. არუთინიანმა — 90 ქულა. პირველი თანრიგის ნორმატივს გადააჭარბეს, აგრეთვე, თბილისელებმა ვ. იაკოვლევმა და ს. მკრტჩიანმა — 88,4. მესამე პრიზიორისთვის — აფხაზეთის დუეტისთვის (რ. მარქარიანი — ს. ჩხეიძე) ეს ზღუდე დაუძლეველი აღმოჩნდა. მისი შედეგია 82,6 ქულა.

რუსთაველ ვაჟთა წყვილმა მოიგო ძალისმიერი ტურნირი. კ. არუთინიანმა და ვ. ეჩერაშნიმ საბოლოოდ 89,6 ქულა მოაგროვეს. II ადგილზე გავიდნენ თბილისელები გ. როსტკვანოვი და ზ. ნიკოლაიშვილი — 88,2, III — რ. ბანდურინი და ლ. ბარონიანი (აჭარა) — 82,4.

ჯგუფურ ვარჯიშში თბილისელები თავიდანვე დაწინაურდნენ. ვ. გურგენიძის, ა. მარვანგელოვის, ვ. თურქაძისა და გ. კაკაშვილის კვარტეტის შედეგია 178,4 ქულა, რაც სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს აღემატება. რუსთაველებმა 172 ქულა მოაგროვეს, ხოლო აფხაზეთის აკრობატებმა — მხოლოდ 52,8.

ო. ივდოშვილი.

## ყველაზე ტექნიკური

კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრება სოხუმში ჩატარდა. მონაწილე გუნდებისა (12 კოლექტივი) და სპორტსმენთა რიცხვი უფრო ნაკლები იყო, მაგრამ შერკინებათა მნიშვნელოვანი ნაწილი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. განსაკუთრებით ბევრმა მონაწილემ მოიყარა თავი მესამე და მეექვსე წონით კატეგორიებში. მაგალითად, 52 კგ წონაში პირველობისთვის 17 ჭაბუკი იბრძოდა, 60 კგ წონაში — თხუთმეტი. სწორედ ამ წონაში გამოდიოდა ტურნირის ყველაზე ტექნიკური მოჭიდავე, თბილისელი ვ. რუხაძე, რომელმაც ქვესავე შეხვედრა წმინდად მოიგო და უძლიერესის სახელიც დაისაკუთრა.

ძალიან მცირე იყო მონაწილეთა რიცხვი ქვემძიმე და მძიმე წონებში. მძიმე წონაში ოთხი სპორტსმენი გამოვიდა ხალიჩაზე, ქვემძიმეში კი — მხოლოდ ორი. ბათუმელ ჯ. მიქელაძეს 55 წამი დასჭირდა იმისთვის, რომ ცხაკაიელი დ. ლამქარავა დაემარცხებინა და ამ ერთადერთი გამარჯვებით პირველობაც დაესაკუთრებინა.

დაბალ წონებში კარგად მომზადებული მოზარდები გამოიყვანა თბილისის № 1 სპორტსკოლა-ინტერნატმა. ამ სკოლის წარმომადგენლებმა ოთხი I ადგილი მოიპოვეს. ყველაზე მეტი საპრიზო ადგილი (12) კი თბილისის ნაკრები გუნდის წევრებს ხვდათ.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: გ. ნაზღაიძემ, ზ. ბოქოლიშვილმა, ზ. ლოპოშვილმა (ყველა — თბილისის № 1 სპორტსკოლა-ინტერნატი), დ. ერაძემ (ჭიათურა), დ. გოგოლაძემ (თბილისის № 1 სპორტსკოლა-ინტერნატი), ვ. რუხაძემ, მ. კარანაძემ (ორივე — თბილისი), ნ. აფხაზავამ (ქუთაისი), გ. გურჩიანმა (სოხუმი), ზ. ამანათაშვილმა (თბილისი), ჯ. მიქელაძემ (ბათუმი), რ. ფაფაზიანმა (სოხუმი).

ე. ბელაშვილი.
(ჩვენი საკუთ. კორ.)

სოხუმი.




სსრ კავშირის პირველობა

## ფინიშთან ჩრდილი

20 და 21 ნოემბრის მატჩებით დასრულდა სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატი ფეხბურთში.

„არარატი“ — „შახტიორი“ 2:0. ერევნელებმა საგრძნობი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი და დამაჯერებლადაც გაიმარჯვეს. ბურთები გაიტანეს: მე-14 წუთზე — ანდრეასიანმა, 66-ე წუთზე — ნ. პეტროსიანმა.

„ზენიტი“ — „დინამო“ (კიევი) 2:0. კიევის დინამოელებმა, უკვე ჩემპიონთა რანგში, ზედიზედ მეორედ წააგეს. კიეველთა კარში ბურთები გაიტანეს ნიკოლაევმა (88-ე წუთზე) და ზინჩენკომ (76).

სტომატოლოგის ცივა

## სეზონის ბოლო მატჩი

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 21 ნოემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 3:2 (1:2).

„დინამო“: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, გავაშელი (მჭედლიშვილი), მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, წერეთელი, გ. ნოდია, ესებუა.

„ზარია“: ფორკაში, პინჩუკი, მალიგინი, აბრამოვი, ვასენინი, ჟურავლიოვი, ვ. კუზნეცოვი, ბელოუსოვი, ანდრეევი, კუკსოვი, ელისეევი.

მსაჯი ა. ლიპატოვი (მოსკოვი).

საკავშირო ჩემპიონატის ფინიშზე მოხდა ისე, რომ თბილისის „დინამოს“ ხელთ აღმოჩნდა ორი გუნდის ბედი, რომელთაგან ერთ-ერთს უნდა დაეტოვებინა უმაღლესი ლიგა. ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან ის არითმეტიკული ამოცანა, რომელიც გადასაწყვეტი იყო ამ მატჩში: თუ თბილისის „დინამო“ 2 და მეტი ბურთის სხვაობით მოუგებდა „ზარიას“, უძლიერესთა რიგებში ადგილს ინარჩუნებდა ალმაათის „ქაირათი“, 1 ბურთის განსხვავებით წაგება კი ვოროშილოვგრადელებს საბოლოოდ აძლევდა საიმედო XIV ადგილს. აქ იყო თავისებური დუელი — „დაუსწრებელი“ ალმაათელთა, ხოლო „დასწრებული“ — ვოროშილოვგრადელთა მხრივ. წარმატებას მიაღწია მან, ვინც „დასწრებულად“ იბრძოდა თავისი ბედის გადასაწყვეტად.

მატჩი დაიწყო იმით, რომ სტუმრებმა მე-10 წუთისთვის ზედიზედ 2 ბურთი გაიტანეს „დინამოს“ კარში (ელისეევი, ანდრეევი).

შემდგომში ინიციატივამ თბილისელთა მხარეს გადაინაცვლა. 36-ე წუთზე მ. მაჩაიძემ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა, 79-ე წუთზე კი მანვე გაათანაბრა ანგარიში. უამრავი გამოუყენებელი მომენტის შემდეგ დინამოელებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება: 88-ე წუთზე გ. ნოდიამ გადამწყვეტი ბურთი შეაგდო „ზარიას“ კარში.

ც. ფცქიალაძე.

# ციფრები და ფაქტები

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში შევიდა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ყველა — 240 სამსაჯო ოქმი. რას გვამცნობენ ეს ოქმები?

მეკარეებმა 573-ჯერ გახდნენ იძულებული ბადიდან გამოეტანათ ბურთი (შარშანდელ სეზონში 548 გოლია გატანილი). საშუალო შედეგიანობა — 2,35 გოლი ერთ მატჩში.

საკუთარ კარში ბურთი შეაგდეს ს. ოლშანსკიმ („სპარტაკი“) და ვ. გოლუბევმა („ზენიტი“).

ყველა შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა რვა ფეხბურთელმა: ნ. მესროპიანმა, ო. ზანაზანიანმა (ორივე — „არარატი“), მ. ფომენკომ (კიევის „დინამო“), ვ. ბასალაევმა (მოსკოვის „დინამო“), ს. ზაიმაკოვმა („ქაირათი“), ლ. სადირინმა („ზენიტი“), ა. ტუკმანოვმა („ტორპედო“), ა. რიბაკმა („ნისტრუ“).

ყველაზე პოპულარული იყო ანგარიში 1:0. ასეთი ანგარიშით დამთავრდა 45 მატჩი. შვიდჯერ (ყველაზე მეტჯერ) ასეთი ანგარიშით წააგო „არარატმა“ და ექვსჯერ მოიგო „ჩერნომორეცმა“.

87 შეხვედრა ფრედ დამთავრდა. მინდვრის მასპინძლებმა 323 გოლი დააგროვეს, სტუმრებმა — 157.

არბიტრებმა 47-ჯერ დანიშნეს პენალტები (34 — სტუმრების კარში, 13 — მასპინძლების კარში). 37 პენალტი გოლით დამთავრდა. პენალტი 8-ჯერ დაარტყა „ფახთაქორმა“. აქედან ექვს დარტყმას გოლი მოჰყვა. მ. ანმა მიაღწია 100-პროცენტიან შედეგს — 6 6-დან.

ოთხი დარტყმიდან ოთხივე კარგად გამოიყენა თბილისელმა ვ. კოპლიძემ. პენალტი არც ერთხელ არ დაურტყამთ „ნისტრუს“ ფეხბურთელებს. მათს კარში კი, ისევე როგორც „ქაირათის“ კარში, 11-მეტრიანი ხუთჯერ დაინიშნა.

XXXVI პირველობის შეხვედრებს 6 მილიონზე მეტი მაყურებელი დაესწრო. აქედან მილიონზე მეტი ჩემპიონის მონაწილეობით გამართულ მატჩებზე მოდის.

ჩემპიონატის პირველი გოლი 12 აპრილს გავიდა ტაშკენტში („ფახთაქორის“ კარში). ეს გოლი „ზენიტის“ თავდამსხმელს ა. ზინჩენკოს ეკუთვნის. სეზონის ბოლო, 573-ე ბურთი გ. ნოდიას (თბილისის „დინამო“) ანგარიშზე მოდის.

პრიზები — გ. ფედოტოვის სახელობისა, „უკეთესი სხვაობისთვის“, „ორი შემადგენლობით“, „უძლიერეს დუბლიორებს“, „დროშის ღირსება“ მოიპოვეს ჩემპიონებმა — კიევის „დინამოს“ ფეხბურთელებმა. „სპარტაკს“ ხვდა ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ჰოკეის“ პრიზი — „დიდი ანგარიშისთვის“, აგრეთვე, ჟილეტი „აგრესიული სტუმარი“. კიეველთა თავდამსხმელმა ო. ბლოხინმა მოიპოვა გაზეთ „ტრუდის“ მიერ საუკეთესო ბომბარდირისთვის (20 ბურთი) დაწესებული ჯილდო.

გაზეთ „სოვეტსკაია როსიის“ პრიზი „გამარჯვებისკენ სწრაფვისთვის“ „არარატს“ გადაეცემა.

შეცვლის შემდეგ მინდორზე გამოსული ფეხბურთელებიდან ცამეტმა შეძლო გოლების გატანა. ესენი არიან: გ. ხრომჩენკოვი („ზენიტი“) და ვ. ზუბკოვი („ჩერნომორეცი“) — ორ-ორი გოლი, ე. კოზინკევიჩი („კარპატი“), გ. ტომაშევსკი („ჩერნომორეცი“), რ. ატამალიანი („ნისტრუ“), ა. კოზლოვსკიხი (ცსკა), ვ. სტულჩინი („ზარია“), ი. კარასი („ნისტრუ“), ა. შეპელი (კიევის „დინამო“), ვ. პროკოპენკო („ჩერნომორეცი“), ი. ელისეევი („ზარია“), ვ. ფაროუხინი („ფახთაქორი“), ე. ლოვჩევი („სპარტაკი“).

„ნისტრუ“ ერთადერთი გუნდია, რომელსაც არც ერთხელ არ მოუგია სტუმრად. თავიანთ მინდორზე არც ერთხელ არ წაუგიათ კიევის „დინამოს“, „ჩერნომორეცსა“ და „კარპატის“.

საქმეში ჩავიხედოთ

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 30 | 14 | 12 | 4 | 49—24 | 40 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 30 | 15 | 9 | 6 | 41—23 | 39 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 30 | 12 | 11 | 7 | 35—31 | 35 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 30 | 13 | 7 | 10 | 35—26 | 33 |
| „არარატი“ (ერევანი) | 30 | 11 | 10 | 9 | 37—28 | 32 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 30 | 10 | 11 | 9 | 42—33 | 31 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 30 | 8 | 15 | 7 | 36—41 | 31 |
| „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) | 30 | 10 | 10 | 10 | 45—44 | 30 |
| „დინამო“ (თბილისი) | 30 | 8 | 14 | 8 | 29—34 | 30 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 30 | 9 | 11 | 10 | 31—39 | 29 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 30 | 8 | 12 | 10 | 33—33 | 28 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 30 | 8 | 12 | 10 | 31—35 | 28 |
| ცსკა | 30 | 7 | 12 | 11 | 28—33 | 26 |
| „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) | 30 | 8 | 10 | 12 | 32—41 | 26 |
| „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 30 | 8 | 10 | 12 | 37—47 | 26 |
| „ნისტრუ“ (კიშინიოვი) | 30 | 4 | 8 | 18 | 32—59 | 16 |

## ჰოკეის სარბიელიდან საფეხბურთო მინდორზე...

მოსკოვი, 21 ნოემბერი. (საქტასი). საბჭოთა ჰოკეისტების ცნობილი აღმზრდელი ა. ტარასოვი ახალი სეზონიდან ცსკა-ს ფეხბურთელთა გუნდს ზოამზადებს: იგი დანიშნულია ამ გუნდის უფროსად და მთავარ მწვრთნელად.

ა. ტარასოვი ფეხბურთელიც იყო და ამ სახეობაში მწვრთნელადაც უმუშავია. იგი ვვს-ის გუნდს ავარჯიშებდა.

## სოჭის ტურნირში

20 ნოემბერს სოჭში დაიწყო II ლიგის 6 საუკეთესო გუნდის ფინალური ტურნირი I ლიგის 3 საგზურის მოსაპოვებლად.

საყოველთაო ინტერესს იწვევდა ყაზანის „რუბინისა“ და გროზნოს „თერეკის“ შეხვედრა. საქმე ისაა, რომ გამარჯვებულ გუნდს ეკუთვნოდა რსფსრ-ს 1974 წლის ჩემპიონის წოდება. „თერეკმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 3:1 და მოიპოვა ეს ტიტული.

ფრუნზეს „ალგამ“ და ხარკოვის „მეტალისტმა“ ფრედ ითამაშეს — 0:0. გამარჯვებული ვერ გამოავლინა „იანგიერისა“ (იანგიერი) და ყარაგანდის „შახტიორის“ შეხვედრამაც — 1:1.

## ვერ ჰპოვეს ფეხბურთელთა შესარჩევად

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გუშინ დაიწყო ახალგაზრდა ფეხბურთელთა რესპუბლიკური ტურნირი, რომელიც მიზნად ისახავს პერსპექტიულ მოთამაშეთა გამოვლენას და შერჩევას. ტურნირში მონაწილეობს 4 გუნდი: თბილისის, აღმოსავლეთ საქართველოს, დასავლეთ საქართველოს და II ლიგის გუნდების მოთამაშეთაგან დაკომპლექტებული ნაკრები კოლექტივები. გათამაშებაში მონაწილეობენ ახალგაზრდა ფეხბურთელები (22 წლის ჩათვლით).

გუშინ შედგა ორი მატჩი: თბილისი — აღმოსავლეთ საქართველო 2:3, დასავლეთ საქართველო — II ლიგის ნაკრები 3:5.

24 ნოემბერს ერთმანეთს შეხვდებიან: აღმოსავლეთ საქართველო — დასავლეთ საქართველო, თბილისი — II ლიგა, ხოლო 26 ნოემბერს: თბილისი — დასავლეთ საქართველო, აღმოსავლეთ საქართველო — II ლიგის ნაკრები.

მატჩების დასაწყისი 13 და 15 საათზე.

შ. შავგულიძის სახელობის პრიზი

## ლანჩხუთელთა წარმატება

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 20 ნოემბერი.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:0 (1:0).

„გურია“: მოსაშვილი, ელოშვილი, ჯიშკარიანი, მაზიაშვილი, გაბრიჩიძე, ძაგანია, დარახველიძე, სამსონაძე, სანაძე (გლინიანოვი, ნემსაძე), ძიძიგური, ტოლიანი.

„ლოკომოტივი“: ნუცუბიძე, ჯანგველაძე, ლორთქიფანიძე, კალაძე, სულაბერიძე, შავგულიძე, ბოჭორიშვილი, ქარქაშაძე, რეხვიაშვილი, ბახტაძე, მესიაჩენკო.

მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

სპორტის დამსახურებულ ოსტატ შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშებაში ლანჩხუთელმა და სამტრედიელმა ფეხბურთელებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს. ამიტომ საჭირო შეიქნა მათ შორის დამატებითი მატჩის ჩატარება ნეიტრალურ მინდორზე. სამოედნოდ ბათუმის სტადიონი აირჩიეს.

თამაში დაიწყო ლანჩხუთელთა ძლიერი, მძლავრი იერიშებით. უკვე დასაწყისში ძაგანიასგან მიღებული ბურთი ოდნავ ააცდინ. მიზანს სამსონაძემ. შემდეგ გაბრიჩიძემ ძლივს მოახვედრა ბურთი, მაგრამ მეკარე ნუცუბიძემ შეძლო იმავე გაბრიჩიძის სახიფათო გარღვევის ლიკვიდირება. თავის მხრივ რამდენიმე კონტრშეტევა განახორციელეს ლოკომოტიველებმაც და მოსაშვილს ძნელი ბურთის აღება მოუხდა ბახტაძისგან.

21-ე წუთზე კალაძემ ხელით ითამაშა თავისი კარის სიახლოვეს, რისთვისაც ლოკომოტიველთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო. დარტყმა კარგად გამოიყენა ელოშვილმა — 1:0.

შესვენების შემდეგ ინიციატივა კვლავ „გურიას“ ჰქონდა, რომლის თავდამსხმელმა ტოლიანმა 65-ე წუთზე მეორე ბურთი გაიტანა სამტრედიელთა კარში.

მატჩი საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა, მაგრამ ეს შთაბეჭდილება რამდენადმე გააფუჭა ცალკეულ მოთამაშეთა უწესრიგობამ. არბიტრი ნ. ამირეჯიბი იძულებული იყო მინდვრიდან გაეძევებინა ძაგანია, გაბრიჩიძე და მესიაჩენკო.

გამარჯვებულ გუნდს — ლანჩხუთის „გურიას“ — ვეტერანის საპატიო თასი გადასცა რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს ისტატების გუნდების უფროსმა მწვრთნელმა ა. ჭკუასელმა. შესაბამისი დიპლომებით დაჯილდოვდნენ ორივე კოლექტივის წევრები, აგრეთვე, „გურიის“ უფროსი მწვრთნელი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი შ. კაკაბაძე, მწვრთნელი ნ. ნარიაშვილი, გუნდის უფროსი ი. დუნდუა.

აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთელებმა ზედიზედ მეორედ მოიპოვეს შ. შავგულიძის სახელობის თასი.

ო. მურვანიძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## ევროპის პირველობაზე

როგორც ვიუწყებოდით, 20 ნოემბერი ჩვენს კონტინენტზე დიდი ფეხბურთის დღე იყო: გაიმართა ევროპის ჩემპიონატის რამდენიმე შესარჩევი მატჩი.

გლაზგოს „ჰემპდენ პარკის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ შოტლანდიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები. ადგილობრივ გულშემატკივრებს გამარჯვება ელოდათ: უაღრესად მძაფრი და საინტერესო ბრძოლის შემდეგ ესპანელებმა შეძლეს მასპინძელთა დამარცხება — 2:1. ანგარიში მე-10 წუთზე გახსნა შოტლანდიელმა ბრემნერმა. მალე ესპანეთის ნაკრების მეკარემ ირიბარმა მოიგერია ჰატჩისონის მიერ დარტყმული პენალტი. 36-ე წუთზე კინიმ წარმატებით დაამთავრა თავისი გუნდის ერთ-ერთი კონტრშეტევა — 1:1. შემდეგ ესპანელებმა მაინც შეძლეს გადამწყვეტი გოლის გატანა.

ასევე ვერ გაიხარეს ადგილობრივმა გულშემატკივრებმა ლონდონში. „უემბლის“ სტადიონზე მოსული მრავალრიცხოვანი მაყურებელი თავისი საყვარელი გუნდის — ინგლისის ნაკრების გამარჯვებას ელოდა პორტუგალიელებთან მატჩში, შეხვედრა კი ფრედ დამთავრდა — 0:0.

მსოფლიო ჩემპიონმა — დასავლეთ გერმანიის ნაკრებმა ათენში ითამაშა საბერძნეთის ეროვნულ გუნდთან. ბრძოლა აქაც უაღრესად მწვავე გამოდგა და, ბევრისთვის მოულოდნელად, ფრედ დამთავრდა — 2:2.

X მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა — ჰოლანდიის ნაკრებმა როტერდამში სძლია იტალიის ეროვნულ გუნდს — 3:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს კრუიფმა (2) და რენსენბრინკმა.

უელსის ნაკრებმა შინ პირდაპირ გაანადგურა ლუქსემბურგის გუნდი — 5:0.

სსრ კავშირის ნაკრების „მეზობლები“ — თურქეთისა და ირლანდიის ეროვნული გუნდები იზმირში შეხვდნენ ერთმანეთს. მეტოქეებმა თითო გოლი გაიტანეს — 1:1.

## კიდევ ერთი შვედი

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელმა — მიუნხენის „ბაიერნმა“, რომელიც წლევანდელ გფრ-ის ჩემპიონატში ერთობ წარუმატებლად თამაშობს (XI ადგილზეა), დამხმარე ძალა ისევ შვეციაში მონახა. როგორც იცით, შვედი ფეხბურთელები დიდი პოპულარობით სარგებლობენ ევროპის ბევრ ქვეყანაში. ერთი მათგანი (ტორსტენსონი) „ბაიერნის“ ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა. ახლა მას პარტნიორად თანამემამულე ეყოლება. ეს გახლავთ შვეციის ეროვნული გუნდის წევრი, X მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ბიორნ ანდერსონი, რომელიც გფრ-ის ჩემპიონმა საკმაოდ დიდ ფასად იყიდა.

## გახურებული ვაჭრობა

ინგლისის კლუბებში მოთამაშეთა გაცხოველებული ყიდვა-გაყიდვა მიმდინარეობს. ამ ვაჭრობაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „ნიუკასლ იუნაიტედისა“ და ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრის, 22 წლის ტერი მაკდერმოტის ყიდვა „ლივერპულის“ მიერ. ეს ახალგაზრდა ნახევარმცველი გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს საკმაოდ ძვირი — 170 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა, მაგრამ კლუბის მენეჯერი ბობი პეისლი მაინც კმაყოფილია.

თავის მხრივ, „ლივერპულმაც“ გაყიდა მოთამაშე — 22 წლის თავდამსხმელი პიტერ სპირინგი, რომელიც 70 ათას გირვანქა სტერლინგად იყიდა ჩემპიონატის აუტსაიდერმა „ლუტონ თაუნმა“.

I ლიგას არც II ლიგის გუნდები ჩამორჩნენ. „ჰალ სიტიმ“ პატარა გართულების შემდეგ 75 ათას გირვანქა სტერლინგად შეძლო „მილუოლის“ თავდამსხმელის ალფ ვუდის ყიდვა. ამან გააწბილა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ მენეჯერი ჯონ ჯაილზი, რომელმაც თქვა: „ვუდი სწორედ ისეთი მოთამაშეა, როგორიც ჩვენს თავდასხმას სჭირდება. ახლა კი ასეთი ფეხბურთელი სხვაგან უნდა ვეძებოთ“.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა




# საკუთარმა კედლებმა ვერ უშველა

# დაძაბულ ბრძოლაში მეშვიდე გამარჯვება

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

სვერდლოვსკი. სტუმრად ჩატარებული ექვსი მატჩის შემდეგ „ურალმაშს" ბოლოს და ბოლოს შინ მოუხდა თამაში. საკუთარი კედლების უპირატესობა ურალელმა კალათბურთელებმა ვერ გამოიყენეს. კიევის „სტროიტელი" გამწვარებული იყო წარუმატებელი სტარტის გამო და მეტოქეს ორივეჯერ სძლია.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

პირველი შეხვედრა უკრაინელმა სპორტსმენებმა მოიგეს ანგარიშით 95:68 (42:30), ხოლო მეორე — 103:79 (46:36).

ვილნიუსი. უაღრესად მძაფრი იყო „სტატიბასა" და მინსკის რტი-ს შეხვედრები. პირველ მატჩში მინიმალურ უპირატესობას მასპინძლებმა მიაღწიეს — 70:69 (41:30), მაგრამ განმეორებით შეხვედრაში ქულა სტუმრებს ერგოთ, თუმცა სხვაობა ამჯერადაც მინიმალური იყო — 83:82.

ლენინგრადი. გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა „სპარტაკმა" გუშინწინ კვლავ შინ ითამაშა. ამჯერად მისი მეტოქე მოსკოვის „დინამო" იყო, გუნდი, რომელსაც, ლენინგრადელთა მსგავსად, ჯერ არც ერთი შეხვედრა არ ჰქონდა წაგებული. მატჩის პირველი ნახევარი ასე თუ ისე თანაბარი გამოდგა, ყოველ შემთხვევაში, ნევისპირელთა უპირატესობა ერთობ უმნიშვნელო იყო — 45:42.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა გააძლიერეს „დაწოლა" და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს — 76:61.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 ნოემბრისთვის

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 7 | 0 | 635—517 | 7 |
| „დინამო" (თბ.) | 5 | 1 | 531—508 | 5 |
| „დინამო" (მ.) | 4 | 1 | 453—373 | 4 |
| ცსკა | 4 | 2 | 543—487 | 4 |
| „სტროიტელი" | 2 | 2 | 355—340 | 2 |
| „კალევი" | 2 | 2 | 332—323 | 2 |
| „ჟალგირისი" | 1 | 3 | 306—331 | 1 |
| „სტატიბა" | 1 | 3 | 310—348 | 1 |
| რტი | 1 | 5 | 483—547 | 1 |
| „ურალმაში" | 0 | 8 | 595—769 | 0 |



ძნელია, ძალიან ძნელია ინიციატივის მოპოვება ჩემპიონთან ბრძოლაში, მაგრამ არანაკლებ რთულია ამ ინიციატივის შენარჩუნება. ცსკა-მ, როგორც კი იგრძნო ხიფათის მოახლოება, პრესინგს მიმართა, პრესინგის დროს კი ბრძოლა ერთი ორად მწვავდება.

ედეშკო, როგორც ხედავთ, ნაბიჯით არ შორდება ნ. ქორქიას, რომელიც ცდილობს ბურთი გადასცეს თავისუფალ ადგილზე მყოფ თანაგუნდელს. ერთი „მიკროშეჯახება" უკვე მოხდა (წინა პლანზე), მეორის თავიდან ასაცილებლად მ. ქორქიამ თავისუფალი ადგილი მონახა და მზადაა ბურთი მიიღოს. მ. ქორქიას შორიახლო სდარაჯობენ პეტრაკოვი და ე. კოვალენკო (ეს ფოტოსურათი გადაღებულია თბილისის „დინამოს" და ცსკა-ს პირველი მატჩის დროს, რომელიც ჩვენმა კალათბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 91:86).

ნ. ახვლედიანი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# გაქოში — „სპარტაკი", ვილნიუსში — ტტტ

გრძელდება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მატჩები.

ბაქოში სამი კალენდარული დღის შემდეგ წაუგებლად თამაშობს მხოლოდ სსრ კავშირის ჩემპიონი, ლენინგრადის „სპარტაკი". ბოლო ორ ტურში მან დიდი ანგარიშით მოუგო თანაქალაქელ ბურევესტნიკელებს — 80:49 (44:23) და ალმა-ათის „უნივერსიტეტს" — 82:64.

ორ-ორი გამარჯვება აქვთ მოპოვებული მოსკოვის ოლქის „სპარტაკსა" და კიევის „დინამოს". ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებმა (ფისკ), რომლებიც წლეულს დაბრუნდნენ უმაღლეს ლიგაში, ენერგიულად ჩაატარეს მატჩი „უნივერსიტეტთან" და გაიმარჯვეს — 51:45 (29:23).

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) 81:72 (39:36), „დინამო" (კიევი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 75:66, „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — ფისკ 76:54.

ერთი დღით გვიან დაიწყო მატჩები ვილნიუსის ჯგუფში, სადაც ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო რიგის ტტტ-მ. მან ჯერ დნეპროპეტროვსკის „სტალი" დაამარცხა — 81:51 (37:29), მერე კი — ფრუნზეს „სტროიტელი" — 70:47.

სხვა შეხვედრები ამ ჯგუფში ასე დამთავრდა: „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „სტროიტელი" 77:49, „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) — „დინამო" (მოსკოვი) 83:81, „კიბირკშტისი" — „სტალი" 42:53.

# ახალი ამბები-74

● ბუდაპეშტი, 20 ნოემბერი. უნგრეთის ჩემპიონი კალათბურთელ ვაჟთა შორის მეთორმეტედ გახდა ადგილობრივი „ჰონვედი". გადამწყვეტი შეხვედრა ბუდაპეშტის „ჩეპელს" მან ანგარიშით 88:76 მოუგო.

● ნიუ ორლეანი, 20 ნოემბერი. ამერიკის შეერთებულ შტატებში სტუმრად მყოფი ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები დამარცხდა ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდთან—79:86. მატჩის გმირად აღიარეს ბრაბენეცი (ჩეხოსლოვაკია), რომელმაც თავის კოლექტივს 36 ქულა შესძინა. ერთი დღით ადრე ჩეხოსლოვაკიელებმა წააგეს შეხვედრა ტულეინის უნივერსიტეტის გუნდთან — 91:97.

● პერვოურალსკი, 21 ნოემბერი. ბურთიანი ჰოკეის 27-ე საკავშირო ჩემპიონატის საზეიმო გახსნა დღეს ადგილობრივ სტადიონზე ერთი საათით დაგვიანდა: თოვლიანმა ქარბუქმა ასეთი კორექტივი შეიტანა გეგმაში. პირველობის გახსნის ცერემონიალის შემდეგ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ადგილობრივი „ტრუბნიკი" და სვერდლოვსკის ასკ. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 5:2 (1:0). ანგარიში 36-ე წუთზე გახსნა სახელგანთქმულმა სვერდლოვსკელმა თავდამსხმელმა, საბჭოთა ნაკრების უცვლელმა წევრმა დურაკოვმა. ამრიგად, ეს იყო 27-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი გოლი.

● ოდესა, 21 ნოემბერი. გიგანტური ქარხნების მოჭადრაკეთა საკავშირო შეჯიბრების ფინალში დღეს გამოვლინდა გამარჯვებული. ეს არის ხარკოვის ქარხანა „ელექტროტიაჟმაშის" გუნდი. პირველ დაფაზე საუკეთესო შედეგს მიაღწია ვოროშილოვგრადის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის თბომავალსაშენებელი ქარხნის გუნდის წარმომადგენელმა, საერთაშორისო დიდოსტატმა გ. კუზმინმა — 4 ქულა 6-დან. აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აქვს ხარკოვის ქარხანა „ელექტროტიაჟმაშის" ინჟინერს, უკრაინის მრავალგზის ჩემპიონს, საერთაშორისო ოსტატ ო. ანდრეევას — 5,5 ქულა 6-დან.

## სპორტლოტო

# მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 20 ნოემბერი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, 32-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ნომრები და სპორტის სახეობები:

„სპორტლოტო" — 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 16 (ტანვარჯიში), 22 (ციგურები), 33 (რევბი), 38 (მშვილდოსნობა), 45 (ფეხბურთი);

„სპორტლოტო-2"—14 (ფრენბურთი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 20 (ზაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 28 (მოტობურთი), 32 (წყალში ხტომა), 46 (ჰოკეი).

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

## „განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადა

# სხვაობა ზოგჯერ 30-40 კგ იყო

რუსთავში, სპორტკლუბ „ფოლადის" დარბაზში, ჩატარდა ძალოსანთა პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების ნაკრები გუნდები.

ზოგიერთ წონაში სპორტსმენები ასე თუ ისე უწევდნენ ერთმანეთს მეტოქეობას. მაგალითად, უმჩატეს წონაში ვ. ბადალოვმა და ო. სარაჩელმა (სპორტკლუბი „განთიადი") ერთნაირი შედეგით (140 კგ) დაამთავრეს შეჯიბრება, მაგრამ გამარჯვება 100 გრამით მსუბუქ ბადალოვს მიეკუთვნა. ამასვე ვერ ვიტყვით სხვა წონითს კატეგორიებში მოასპარეზე სპორტსმენებზე. გამარჯვებულსა და დანარჩენ საპრიზო ადგილებზე გასულთა შედეგებს შორის სხვაობა ზოგჯერ 30-40 კგ იყო. უფრო მეტიც, მჩატე წონაში გამარჯვებულმა ს. თათევოსიანმა ორჭიდში 175 კგ დააგროვა, ხოლო ზემძიმე წონაში გამარჯვებულმა ვ. ვორონოვმა — 160 კგ.

ბრძოლა ძირითადად გუნდური პირველობისთვის მიმდინარეობდა. გაიმარჯვა ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდმა — 52 ქულა. 44 ქულით II ადგილზე გავიდნენ მეტალურგიული მრეწველობის ძალოსნები, ხოლო III ადგილი მსუბუქი მრეწველობის გუნდმა დაიკავა (43 ქულა).

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ვ. ბადალოვმა (მეტალურგიული მრეწველობა), ს. თათევოსიანმა, ვ. თუმანოვმა, ვ. ქორქოლიანმა (სამივე — ელექტრომრეწველობა), დ. ადამაძემ, ვ. წიკლაურმა, რ. გურგენიძემ (სამივე — მსუბუქი მრეწველობა), ვ. პოსუხოვმა, ვ. ვორონოვმა (ორივე — ელექტრომრეწველობა).

რ. გაბრიჭიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

# სადაც სპორტი უყვართ...

## ფიზკულტურულ კოლექტივებში

სოფელ ქვედა საზანის საშუალო სკოლაში ფიზკულტურასა და სპორტს დიდი ყურადღება ექცევა. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი, კარგად აღჭურვილი სპორტდარბაზი. კედლებზე გამოკრულია მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების ამსახველი ფოტოსურათები, ფიზკულტურული კოლექტივის კედლის გაზეთი „ფიზკულტურელი".

სკოლის სპორტულ ცხოვრებას თავკაცობენ უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მქონე სპეციალისტები შ. რობაქიძე და შ. დვალი.

თავისთავად ცხადია, რომ ფიზკულტურის გაკვეთილები დიდი მონდომებითა და გულისყურით ტარდება. სპორტის ცალკეულ სახეობებში კი მოსწავლეები სექციებში ოსტატდებიან.

კარგად მუშაობენ ფეხბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის სექციები. საგულისხმოა, რომ სასკოლო პირველობაში სპორტის სხვადასხვა სახეობაში 250 მოსწავლე ასპარეზობდა.

საინტერესოდ საქმიანობს ტურიზმის სექცია. ამას წინათ მოსწავლეებმა ორდღიანი ლაშქრობა მოაწყვეს მარშრუტით: ქვედა საზანო — მუხურეთი — სკანდეს ციხესიმაგრე — ზესტაფონი. ამ ღონისძიებაში 53 ნორჩმა ტურისტმა მიიღო მონაწილეობა.

სკოლის დირექცია (დირექტორი — საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი გ. კობახიძე) ხელს უწყობს ფიზკულტურითა და სპორტით მოსწავლეთა დაინტერესებას, შეჯიბრებების სათანადო დონეზე ჩატარებას. ამიტომაც ქვედასაზანოელ მოსწავლეებს რაიონში კარგი სპორტსმენების სახელი აქვთ მოპოვებული.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).

სოფ. ქვედა საზანო,
ზესტაფონის რაიონი.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53 ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.